ნომერი: 17-01251213635-60
თარიღი: 01.05.2025 18:28
ვადა: 02.06.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7
განცხადების N: 16-01251213424 განცხადების თარიღი: 01.05.2025
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ს/კ 01.17.01.038.023

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 17-01251213635-60
01.05.2025 : 18:28
ქ. თბილისი 0160, ქ.შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01251213424**
თარიღი: **01/05/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი N01251183616-67 28.04.2025 განცხადებით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 02 დეკემბრის Nბ01.012433719 ბრძანებაში ცვლილება. ზემოხსენებული ბრძანებით ქალაქ თბილისში, ლომაურის ქუჩა, N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.01.038.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (78%-ის) განთავსების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 02 დეკემბრის Nბ01.012433719 ბრძანებაში ცვლილება, კერძოდ საცხოვრებელი ფუნქციის 84% დაფიქსირება.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის ინტერაქტიული რუკის თანახმად (maps.tbilisi.gov.ge) N01.17.01.038.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ისტორიული განაშენიანების ზონაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მორიგ სხდომაზე წარადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 02 დეკემბრის Nბ01.012433719 ბრძანებაში ცვლილების საკითხი.

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01251202673**
თარიღი: **30/04/2025**

2025 წლის 28 აპრილის N 01251183616-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ქუჩა ლომაურის, N3-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.01.038.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (84% საცხოვრებელი, 16% საზოგადოებრივი) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილებასთან დაკავშირებით, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. მიმდებარე ტერიტორია მომსახურებული იქნება პირველი (TBT), მეორე (CITY) და მესამე (LOCAL) დონის საზოგადოებრივი ტრანსპორტით. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები საქვეითე მისაწვდომობის (300 მეტრი) ფარგლებშია.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილების განხორციელების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „რივერ ინვესტის“ (ს/კ 405637967) კერძო საკუთრებაში არსებულ 1424 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთს (ს/კ 01.17.01.038.023), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ნ.ლომოურის ქუჩისა და მ. აბდუშელიშვილის ქუჩების კვეთაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე დამკვეთის სურვილით იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. ამჟამად, ტერიტორიაზე განთავსებულია საბჭოთა პერიოდის სტალინური სტილის ნაკლებად მნიშვნელოვანი ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

აღსანიშნავია რომ, სამსახუხრის მიერ 2023 წლის 07 მარტის AR1952749 განცხადების საფუძველზე, 29/05/2023 წლის № 6481237 ბრძანებით 01.17.01.038.012 საკადასტრო ერთეულზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასტუმროს განთავსების მიზნით.

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2). საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 -ში (სსზ-2) 14-39 დადგენილების დანართის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებს სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპში) ცვილების შეტანისათვის, პირველ რიგში საჭიროა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღება, რა მიზნითაც მომზადდა ქალაქგეგმარებითი კვლევა და დასაბუთება.

საწყის ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიიდან 100 მეტრის რადიუსში მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვრა პირობითი საკვლევი არეალი - სადაც ჩატარდა როგორც ფიზიკური გარემოს, ისე დოკუმენტური და უფლებრივი გარემოს კვლევები.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მ. აბდუშელიშვილის ქუჩა, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ნ.ლომოურის ქუჩა, სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სახელმწიფო ცერემონიების სასახლე (ყოფილი პრეზიდენტის სასახლე), სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან კი საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული თავისუფალი ტერიტორია.
საპროექტო ტერიტორია მეტრო ავლაბრიდან დაშრებულია 500 მეტრით, ხოლო ბარათაშილის ხიდიდან - 300 მეტრით. აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი-ავლაბარი-ქეთევან წამებულის ქუჩა მოქცეულია თბილისის სატრანზიტო ქსელის (TBT) არეალში, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას კარგი მისაწვდომობა აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორ მთავარ სატრანზიტო კორიდორთან (მეტრო და TBT). ასევე მიმდებარე არეალებზე, ველო ქსელის კონცეფციით, გათვალისწინებულია ველო ბილიკების მოწყობაც. რაც შეეხება კერძო ავტომობილით მისაწვდომობას, ტერიტორიაზე ვხვდებით/ვტოვებთ სხვადასხვა მხრიდან - როგორც მეტრო ავლაბრის, ისე სამების საკათედრო ტაძრის მხრიდან და ასევე, ე. ახვლედიანის აღმართიდან.

საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე ნაკვეთებზე (ყოფ. პრეზიდენტიც სასახლის ჩათვლით) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), თუმცა აღსანიშნავია, რომ დანარჩენ კვარტლებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

სივრცით-გეგმარებითი შეზღუდვების მხრივ, ტერიტორია გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სიმრავლით, და შესაბამისად მთლიანი არეალი მოყოლილია ისტორიული განაშენიანების დაცვის მკაცრ ზონაში. ასევე, ვრცელდება ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების - ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალები. გეოსაფრთხეების მხრივ, ტერიტორია დაბალი საფრთხის შემცველია (Tas.ge). ვრცელდება ჯიხურების აკრძლვის არეალი.

სივრცით-ფუნქციური თვალსაზრისით, საკვლევ არეალში უმეტესად გვხვდება კერძ საკუთრებაში არსებული (მათ შორის კერძო თანასაკუთრებაში ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში) არსებული საკადასტრო ნაკვეთები. ასევე გვხვდება იურიდიული პირების (შპს) , მუნიციპალური და სახელმწიფოს საკუთრეაში არსებული ტერიტორეიბიც. ნაკვეთების უმეტესობაზე განთავსბეულია საცხოვრებელი და სასტუმროს (მათ შორის საოჯახო სასტუმრო) ფუნქციის შენობები და მათი დამხმარე ნაგებობები. სართულიანობა საშუალოდ 2-3 სართული და არ აღემატება 5 სართულს. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს მ. აბდუშელიშვილის ქუჩის პარალელურად, განთავსებულია 5 სართულიანი ახალ აშენებული სასტუმროს შენობა. აღსანიშნავია, რომ ამ არეალისთვის განაშენიანების დომინანტს წარმოადგენს ყოფ. პრეზიდენტის სასახლე. საკვლევ არეალში ბოლო დროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტებისა და მშენებლობის ნებართვების ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი დეველოპმენტის მხრივ აქტიური კვარტალია, იმის გათვალისწინებით რომ მდებარეობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში. გვხვდება რამდენიმე ესკიზის წინასწარი შეთანხმება, და შეთანხმებული პროექტი/ნებართვა - საცხოვრებელი, სასტუმრო და სოფისე ფუნქციებით. სართულიანობა 4-5 სართული.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მხრივ, რამდენადაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის განაშენიანებულ არეალში, უზრუნველყოფილია საინჟინრო ქსელებით.

არქიტექტურული კონცეფცია

საპროექტო გადაწყვეტით, როგორც ზემოთ ვახსენეთ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც შედგება ერთი მიწისქვეშა, ოთხი სტანდარტული და მეხუთე შემცირებული სართულისგან.

ვინაიდან ტერიტორია მდებარეობს ქალაქის მნიშვნელოვან ისტორიულ უბანში, კონცენტრირებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებით და მასზე ვრცელდება შესაბამისი დაცვის ზონები და რეჟიმები, ჩვენ მიერ მომზადდა საპროექტო არეალისთვის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, რასაც შემდგომში დაეფუძნა ტერიტორიის განვითარების კონცეფციაც.

კონცეფცია: შენობის განთავსება გადაწყდა ქუჩის პერიმეტრზე, რომ შევსებულიყო ურბანული ქსოვილი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ლომოურის ქუჩას შენარჩუნებოდა მანამდე ჩაფიქრებული საპრეზენტაციო იერსახე. ფასადის გადაწყვეტის ინსპირაციას წარმოადგენს ამ უბნისთვის დამახასიათებელი აგურის შენობები და მათი ხის აივნები, თავისი მოკაზმულობით. მათი პროპორციები გადმოცემულია თანამედროვე ფორმებით. ფუნქცია: პირველი სართული წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მისაღებს და კომერციულ სივრცეს რომელიც ინტეგრირდება ეზოსთან. მიწისქვეშ განთავსებულია ავტოსადგომი და ტექნიკური ფართები.

პროექტის პირველადი ესკიზური ვარიანტი, წინასწარი შეთანხმების მიზნით, შეტანილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში (AR11057020, 11.09.2024წ.). საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, რომლის გადაწყვეტილების თანახმად (ოქმი N38 (10.10.2024წ.), ამავე განაცხადით მუნიციპალიტეტში წარდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზურ ვარიანტს მიეცა დადებითი შეფასება.

(დამატებით იხილეთ ალბომში წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, საბჭოს ოქმი, გადაწყვეტილება და შეთანხმებული არქიტექტურული ესკიზი).

საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჩვენი საკუთრების ტერიტორიაზე არ უპირისპირდება საჯარო ინტერესებს და არ გააუარესებს ტერიტორიის განაშენიანების ხასიათს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩვენ მიერ იგეგმება ისეთი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტა ესთეტიკურად გაუმჯობესებს ქუჩის იერსახეს, დამატებით ღირებულებას შესძენს ისტორიულ უბანს და ჰარმონიულად ჩაეწერება ურბანულ ქსოვილში. ამასთან შეცვლის ძველი, დეპრესიული და უფუნქციო შენობით დატვირთულ გარემოს და გააჯანსააღებს მას.

ნახაზის დასახელება

განმარტებითი ბარათი

შენიშვნა

დამკვეთი

შპს “რივერ ინვესტი” (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი,
ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ
(ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება.
საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური
დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

განმარტებითი ბარათი

ცვლილების მიზეზი და მოთხოვნა

ცვლილება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 მარტის № 7414847 გადაწყვეტილებაში (AR11072036) დაფიქსირებული ხარვეზით რაც გულისხმობს ფართების დათვლის მეთოდოლოგიაში განსხვავებას. აღნიშნულის საფუძველზე, დაზუსტდა ფუნქციები საერთო ფართობის მიხედვით (არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად) და პროცენტული გადანაწილება შეადგენს - საცხოვრებელი ფუნქცია 84%, ხოლო საზოგადოებრივი ფუნქცია 16%.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებას სსზ-2 ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების დანართის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 16’ (პრიმა) მუხლის და 22-ე მუხლების საფუძველზე, გთხოვთ:

ა) შეიტანოთ ცვლილება 2024 წლის 2 დეკემბრის #01243373012 დოკუმენტით გაცემულ სპეციალური ზონალურ შეთანხმებაში (მერის ბრძანება ბ01. 012433719, 02/12/2024) და განისაზღვროს - ქალაქ თბილისში, ლომოურის ქუჩა, N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.01.038.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 84% განთავსება, ნაცვლად 78%-ისა.

ბ) საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ფართების პროცენტული წილი განისაზღვროს შემდეგი პროპორციით:
- საცხოვრებელი 84%
- საზოგადოებრივი - 16%.

ნახაზის დასახელება

განმარტებითი ბარათი

შენიშვნა

დამკვეთი

შპს “რივერ ინვესტი” (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანხმება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3



ფუნქციური ზონები	
ფართობი კვ/მ	დასახელება
2903 კვ/მ	საცხოვრებელი
569 კვ/მ	საზოგადოებრივი
3472 კვ/მ	

საკადასტრო კოდი	01.17.01.038.023	
მიწის ნაკვეთის ფართობი(მ²)	1424	კვ/მ
კ1 (მ²)	0.6	844.7
კ2 (მ²)	2.9	4162.9
კ3(მ²)	0.3	387.1

GBA	კვ.მ	კვ.მ	ნიშნული	ფუნქცია
Floor # / Block #	საცხოვრებელი	საზაფხულო(აივანი)	სიმაღლე(-+)	
(-1)სართული			-3.23	ავტოსადგომი
1 სართული	559.1	9.5	0.00	კომერციული
2 სართული	656.9	79.9	4.42	საცხოვრებელი
3 სართული	656.4	82.8	7.82	საცხოვრებელი
4 სართული	654.8	82.8	11.22	საცხოვრებელი
5 სართული	554.4	134.8	14.79	საცხოვრებელი
სახურავი				
სახურავზე გასასვლელი				
ჯამი	3,081.6	389.8		

K2 - ათვლის კოეფიციენტი	K2 - ათვლის კოეფიციენტის მონიშვნა	
1		3,081.6
1		389.8

კომერციულის და საცხოვრებლის თანაფარდობა	
ფართის ტიპი	ფართის მოცულობა კვ/მ
საცხოვრებელი	2,902.8
კომერციული	568.6

ნახაზის დასახელება

კ-2 კოეფიციენტის დათვლა და ფუნქციების თანაფარდობა
(კორექტირებული)

შენიშვნა

დამკვეთი

შპს "რივერ ინვესტი" (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

აბდუშელიშვილის ქ. №1



თბილისი

2022 მაისი

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და უბნის ისტორიულ – არქიტექტურული განვითარება

საპროექტო ტერიტორია აბდუშელიშვილის (ყოფილი ჟანდარმერიის) ქუჩაზე მდებარეობს. ქუჩა XIX ს-ის დასაწყისში შუასაუკუნეებრივი ქუჩათა ქსელის გადაგეგმარების შედეგად გაჩნდა ყოფილი ჟანდარმერიის შენობის, ყოფილი საგზაო პოლიციის სამმართველოს, ყოფილი პრეზიდენტის სასახლის, ამჟამად სახელმწიფო ცერემონიების სასახლის გასწვრივ. დღეს ეს ტერიტორია თბილისის ისტორიული ნაწილის მკაცრი დაცვის ზონის ფარგლებშია მოქცეული. ძველი თბილისის გამგეობის შემადგენლობაშია, ხოლო ისტორიულად, ავლაბარს ეკუთვნის.



ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-სიმაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „ავლაბარი" გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.



1913 წ. თბილისის გეგმა

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. ქართველებთან ერთად აქ სომხები, სპარსელები, ბერძნები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა. 1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა.



შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხე-სიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, დარეჯანისეული სასახლე, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანება განსაზღვრავს. ავლაბრის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია კლდეზე შეფენილი განაშენიანება დღევანდელი გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე. ეს განაშენიანება სწორედ ცუცქირიძის ქუჩიდან იწყება და ყოფილი ციცანოვის, დღეს – ბარათაშვილის აღმართს ზემოდან მოსაზღვრავს.





საარქივო ფოტოებზე მართალია, მკვეთრად არ იკითხება არსებული მიკროუბნის დეტალები, მაგრამ უტყუარია, რომ ამ წარბის განაშენიანება მთლიანად ერთ, ორ და იშვიათ შემთხვევაში სამსართულიანი ნაგებობებისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთის მიჯრით იყვნენ განთავსებული კლდის თავზე. ისიც უტყუარია, რომ XIX ს-ის მიწურულს ჟანდარმერიის შენობის ირგვლივ განაშენიანება შედარებით გამსხვილებული იყო, ისევე, როგორც ქუჩების სიგანე.



ყოფილი ციციანოვის, შემდგომ ბარათაშვილის აღმართის გაფართოებას შეეწირა კლდეზე მიშენებული ცხოველხატული თბილისური სახლების რიგი, მაგრამ შემდგომ პერიოდში ფაქტობრივად ჩვენს ეპოქამდე ძველი ქალაქის ეს მონაკვეთი თითქმის ხელუხლებლად შემოგვრჩა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ გადაურჩა დროთა მავნე ზეგავლენას და უმეტესობა ამ სახლებისა უმძიმეს ფიზიკურ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით დიდი დანაკარგები განიცადა მიკროუბანმა 2000-იან წლებში პრეზიდენტის სასახლის მშენებლობისას.



საკვლევ ტერიტორიაზე, აბდუშელიშვილის ქუჩასა და ლომოურის ქუჩის კვეთაზე, საკმაოდ საინტერესო ურბანული მიკროსტრუქტურები არსებობდა,

რომლებიც მხატვრულ-არქიტექტრული კუთხით ძალზე მომხიბვლელ კომპოზიციებს ქმნიდა, თუმცა, დღეის მდგომარეობით შენობების ძირითადი ნაწილი რუინირებულია.





ობიექტის ირგვლივ მდებარეობს როგორც აგურით ნაგები, ტიპურად თბილისური, ირეგულარული ფორმის სახლები, რომელთა თბილისური ეზოთა რთული სისტემები მიხვეულ-მოხვეულ ქუჩათა სიღრმეში ვითარდება, ასევე ლომოურის ქუჩის გასწვრივ შედარებით მსხვილი, XIX ს-ის განაშენიანება. ამავე ურბანულ მონაკვეთში თანაარსებობს 60-იანი წლების საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელი სახლი და ბოლო დროს აშენებული ოდიოზური ხუთსართულიანი სასტუმროს მოცულობა.







აბდუშელიშვილის ქუჩა №1 იმ ურბანული მონაკვეთის ფარგლებში არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს-ში ჩამოყალიბდა ჟანდარმერიის შენობის ირგვლივ და იმთავითვე მსხვილი განაშენიანებით და განიერი ქუჩებით ხასიათდებოდა.



სავარაუდოდ, სწორედ ამ ადგილზე იდგა მოცულობითი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობები, რომლებიც შემდგომ უკვე საბჭოთა პერიოდში ოთხსართულიანმა კორპუსმა ჩაანაცვლა.



თავად შენობა ორსადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსი, საკმაოდ ხისტი, გრძივი გეგმარებით ხასიათდება. ორი თანაბარი ბლოკისგან შემდგარ მოცულობაზე შვერილი რიზალიტის მსგავსი ელემენტით გამოკვეთილია სადარბაზოს უჯრედები, ხოლო მათ შორის ზედა სართულებზე ვიწრო ნალესი აივნებია შეკიდული.



სრულიად უსახურია და უინტერესო შენობის ეზოს ფასადი მონოტონურად გალესილი და არაპროპორციული ღიობების რიტმით დასერილი საფასადე სიბრტყით.





შენობის ფასადზე, მცირე დეკორატიული ელემენტებით შექმნილია მხატვრული გაფორმების მცდელობა, მაგრამ თავად ეს ელემენტები და მათი შესრულების ხარისხი იმდენად დაბალია, რომ ვერ ანიჭებს ნაგებობას არქიტექტურულ ღირებულებას.



ასევე დაბალია კორპუსის მშენებლობის ხარისხი. უხეშად გალესილი ფასადის ძირში გაშიშვლებულია შერეული რიყის ქვით ნაშენი ცოკოლის ნაწილი, ხოლო თავად ფასადის ბათქაში უმეტესწილად ჩამოცვენილია. მთავარი ფასადის მეორე სართულის მარცხენა ნაწილში შეუსაბამო გადახურული აივანია განთავსებული. მთელ შენობას გრძივად გასდევს გაზის მილი, რომელიც უხეშად

კვეთს ფასადს. ფანჯრების ღიობებში სრულიად უსისტემოდ ჩასმულია სხვადასხვა ფერის და ხარისხის ალათები.





მხატვრულად ღირებული არქიტექტურული ელემენტებიდან აღსანიშნავია შენობის ლითონის ჭიშკარი – სტალინური ეპოქისთვის დამახასიათებელი დეტალებით და სადარბაზოს კიბის მოაჯირი, ასევე ლითონის დეკორით.





თავად კორპუსის ბინებში არქიტექტურულად და სტილისტურად საინტერესო ელემენტები შემორჩენილი არ არის, ისევე, როგორც სადარბაზო უჯრედში, რომელიც განსაკუთრებულად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია.






როგორც კვლევამ ცხადჰყო, სტალინის ეპოქის აღნიშნული შენობა, მართალია, ატარებს XX ს-ის 50-იანი წლებისთვის დამახასიათებელი ეროვნული

კლასიციზმის ნიშნებს, მაგრამ შენობის მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები ძალზე სუსტად არის გამოხატული, რაც გახდა მიზეზი სწორედ იმისა, რომ ძეგლის ნიშნის მქონე ამ შენობას არ მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

უკანასკნელ პერიოდში, როგორც აბდუშელიშვილის, ასევე ლომოურის და სამრეკლოს ქუჩების აყოლებაზე, ტრადიციული ორსართულიანი სახლების მოცულობები გაიზარდა სამ-ოთხ სართულამდე მანსარდული დაშენებებისა და ახალი მოცულობების ხარჯზე.





განსაკუთრებით შეიცვალა ვითარება ყოფილი პრეზიდენტის სასახლის ირგვლივ, რასაც ბიძგი მისცა სწორედ ამ გუმბათიანი მსხვილი მოცულობის დომინანტამ. სასახლის მიმდებარედ უკვე შენდება რამდენიმე ოთხ-ხუთსართულიანი შენობა, რაც საბოლოოდ ამ მიკროუბანს ახალ დატვირთვას შესძენს. განსხვავებით ავლაბრისა და ისნის სხვა შუასაუკუნებრივი გეგმარებითი მოცემულობისგან, უბნის ეს ნაწილი უკვე საუკუნეებია, რაც მსხვილ ადმინისტრაციულ შენობებს უკავია. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად მოცულობითი ობიექტი არ ქმნის შეუსაბამობას.



დასკვნა-რეკომენდაცია

აბდუშელიშვილის ქ. №1 არაღირებული, საბჭოთა პერიოდის სტალინური სტილის უსახური ოთხსართულიანი კორპუსის ჩანაცვლება თანამედროვე არქიტექტურით სასურველია მიკროუბნის ისტორიული განაშენიანების ხასიათის და ირგვლივ არსებული ჩამოყალიბებული მასშტაბის გათვალისწინებით, კერძოდ:

- მნიშვნელოვანია, რომ ახალი მოცულობა არ „ამოვარდეს“ არსებული ისტორიული განაშენიანების კონტექსტიდან და ორგანულად წაიკითხოს შორ ხედებზე;
- არსებულ კონტექსტში მნიშვნელოვანია როგორც შენობის გეგმარებითი სტრუქტურა, ასევე მისი ფაქტურული გადაწყვეტა და სხვენის სართულის ფორმა, რომელიც თავსებადი უნდა იყოს ისტორიულ უბანთან;
- მიკროუბნის ურბანული ღირებულება შედგება როგორც მოკრძალებული მასშტაბის ისტორიული განაშენიანებისაგან, ასევე თანამედროვე, მსხვილი ობიექტის – სახელმწიფო ცერემონიების სასახლის მოცულობისაგან. შესაბამისად, ორივე ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია პროექტირებისას;
- შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა სასურველია იყოს თანამედროვე მხატვრულ-არქიტექტურული ფორმებით გადაწყვეტილი და არ ცდილობდეს ისტორიული განაშენიანების კოპირებას;
- მიკროუბნის თავისებურებიდან გამომდინარე, ახალი ობიექტი შესაძლებელია იყოს საკმაოდ მოცულობითი, თუმცა, ვერტიკალური განვითარება მისაღებად არ მიმაჩნია. ასევე გასათვალისწინებელია სამების ტაძრისა და ცერემონიების სასახლის გუმბათური ნაგებობების დომინანტობა.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

N22/07-ა
22 ივლისი 2024 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით შპს „რივერ ინვესტი“ (ს/ნ 405637967) შემდგომ „მარწმუნებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - თამარ გამგონეიშვილის (პ/ნ 01024065723) სახით, შპს „დემარკს“ (ს/ნ 205196759) წარმოდგენილს მისი დირექტორის - ვლადიმერ აბრამიშვილის (პ/ნ 01011025815) მიერ, (ს/ნ შემდგომ „რწმუნებული“, ანიჭებს უფლებამოსილებას მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: თბილისი, ქუჩა ლომოური N3-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023) სამშენებლოდ განვითარების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის/არსებულის ცვლილების/კორექტირების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების/არსებულის ცვლილების/კორექტირების, მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე, რისთვისაც რწმუნებული უფლებამოსილია:
მიმართოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქონების მართვის სააგენტოს, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძო პირს, კერძო ორგანიზაციებს, მათ შორის კომუნიკაციების (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, სატელეკომუნიკაციო, ფიჭური კავშირგაბმულობის) კომპანიებს და წარადგინოს განცხადება, ინფორმაცია, დოკუმენტაცია, არქიტექტურული პროექტი, შენობა-ნაგებობის არქიტექტურული ესკიზი/რენდერი, ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების/არსებულის ცვლილების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, პირველი კლასის ობიექტზე დასტურის მოპოვების, სამშენებლო ღობის მოწყობის სამუშაოების შეთანხმების, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის/დასტურის აღებისათვის, თავად განსაზღვროს განცხადებისა და მოთხოვნის შინაარსი, ხელი მოაწეროს არქიტექტურული ობიექტის მშენებლობის/განთავსების მიზნით შემუშავებულ ნებისმიერ დოკუმენტს, მათ შორის ვიზუალურ/გრაფიკულ დოკუმენტაციას, შეიმუშავოს არქიტექტურული ესკიზი და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, გადაიხადოს მოსაკრებელი/მომსახურების საფასური, თავად განსაზღვროს მომსახურების მიღების ვადა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ პირთან/ორგანიზაციასთან რომლის პასუხი/დოკუმენტი/გადაწყვეტილებაც საჭიროა მინდობილი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი მოქმედებებიც, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ საჭირო და აუცილებელია მინდობილი უფლებამოსილების განსახორციელებად.
წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მის გაუქმებამდე.

დირექტორი

თამარ გამგონეიშვილი

ADDRESS

სპეციალური ზონალური შეთანხმება

თბილისი, 2025



ანა გულისაშვილი

ურბანისტი





საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 001801

არქიტექტურის

მაკულატურის 2015 წლის 04 აგვისტოს № 47

გადაწყვეტილებით ანა გულისაშვილს მიენიჭა

არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი Dean ნოდარ ამაშუკელი Nodar Amashukeli

რექტორი Rector გიორგი გუგუშვილი George Gugushvili

თბილისი TBILISI 15 12 2015 რიცხვი/day თვე/month წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 001801

By Decision № 47 of 04 August 2015 of the Faculty of

Architecture

Ana Gulisashvili

was awarded the Degree of Bachelor of

Architecture.

L.S. Seal

სარეგისტრაციო № REGISTRATION 000 823



서울시립대학교
UNIVERSITY OF SEOUL

Be it known that on the recommendation of the faculty

the Degree of

Master of Urban Administration and Planning
in Urban Administration and Planning

is hereby conferred upon

Ana GULISASHVILI

in recognition of academic achievements and
ability to complete original research given at
e Graduate School International School of Urban Sciences of t
University of Seoul,

August 22, 2019.

Hyeon Park
f the International School of Urban Sciences

S.T. SU
Soon-Tak
President of the Univer



სეულის უნივერსიტეტი

ურბანული მეცნიერებების საერთაშორისო სკოლის

ადასტურებს, რომ ანა გულისაშვილმა

2019 წლის 22 აგვისტო

ჰეონ პარკი
ურბანული მეცნიერებების
საერთაშორისო სკოლის დეკანი

სუნ ტაკ სუ
უნივერსიტეტის პრეზიდენტი

თარგმანი შეესაბამება ორიგინალს



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N200543863

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 12.08.2020 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

მოქალაქე ქეთევან ძლიერიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი ქალაქი თბილისი, ანა კალანდაძის (ყოფილი ბულაჩაურის) ქ. N7, ს. 28

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 2373035

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი 80875453954420

სანოტარო მოქმედება და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაცია (მისი შემოწმება, შეკვლის დამოწმების შესახებ მოქმედებებსა შეიძლებოდა საქართველოს ნოტარიულ პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge ასევე შესაძლოა დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18

ზე ქეთევან ძლიერიშვილი, ქ. თბილისის ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის (ყოფ. ბულაჩაურის) ქ N7, ს. 28, დედისეული სახელით ზურაბ აფხაზავის ხელმოწერის ნოტარიულად დამოწმების შესახებ, დამ 20.09.1956წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ხაირის ქუჩა, კორპ. 5, ბინა 35, პირადი N61025008060, ამოდ პირადი N12IC77398, გაცემული 19.02.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, პოლხაზი №255, გაც. ა. წულუკიძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსების მიერ, 1987 წელს სელმწიფის ნაშრომისას. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფილ თარგმანის სისწორეს.

I, – Ketevan Dalierishvili, the Notary in Tbilisi, in my notary bureau located at: 7 Ana Kalandadze (former Bulachauri) street, fl. 28, Tbilisi, certify authenticity of signature of interpreter Zurab Apkhazava (born 20.09.1956, residing: Sairme str. Build: 5 Apt. 35, Tbilisi, Personal No. 01025008060, ID Card 12IC77398 issued on 19.02.2013 by Ministry of Justice. Certificate No.255 issued in 1987 by High Courses of Simultaneous Interpreters at I. Chavchavadze Tbilisi State Pedagogical Institute of Foreign Languages). I, the notary, also warned interpreter who has confirmed appropriate knowledge of English languages about his responsibility for fidelity of the translation

გადახდილია ერთი ას ნოტარიალური 2.00 (ორი) ლარი, სანოტარო მოსაკრებლის საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიალთა პალატისათვის გადასახდელი სავალდებულო იფერისების, მათი გადახდილების წესისა და მოსაკრებლის ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელის დადგენილება N507), კერძ. 0.36 (ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, და 2 (ორი) ლარი გადგენილ რეგისტრაციო რეგისტრაციისთვის - მუხლი 39, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიალთა პალატისათვის დადგენილი საგანგების იფერისების, მათი გადახდილების წესისა და მოსაკრებლის ვადების დამტკიცების შესახებ (29.12.2011წელის დადგენილება N507), სულ 4.36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი

Notary fee paid for 2.00 GEL according to the Resolution No.507 dated 29.12.2011 "On Approval of Notary Fee for Execution of the Notary Acts, Amount of Fees for the Notary Chamber of Georgia, Payment Procedures and Terms of Notary Services" plus VAT 0.36 GEL according to Article 169 of the Tax Code of Georgia, plus 2 GEL under Article 39 of the Resolution No.507 dated 29.12.2011 "On Approval of Notary Fee for Execution of the Notary Acts, Amount of Fees for the Notary Chamber of Georgia, Payment Procedures and Terms of Notary Services

ნოტარიუსი Notary Public ქ. დალიერაშვილი K. Dalierishvili

1 из 1 12.08.2020, 14:04



სატიტულო ინფორმაცია

პროექტი:

სპეციალური ზონალური შეთანხმება
საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანინულების სახეობა
(მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)

მისამართი: ქალაქი თბილისი, ნიკო ლომოურის ქუჩა
(ს/კ 01.17.01.038.023)

დამკვეთი:

შპს “შპს რივერ ინვესტი”
ს/კ 405637967
მისამართი: საქართველო, თბილისი
პანკისის ქუჩა #3ა, ბინა 6

შემსრულებელი:

ანა გულისაშვილი | პ/ნ 01005042867

ADDRESS

სარჩევი

1. საპროექტო ტერიტორია ქალაქის კონტექსტში
2. სიტუაციური უკა
3. ამონაწერი და საკადასტრო გეგემა
4. ტოპოგრაფიული რუკა
5. განმარტებითი ბარათი
6. დრონის ფოტოები
7. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოამასალა
8. ორთოფოტო (2014 წ)
9. ორთოფოტო (2020 წ)
10. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება
11. ფუნქციური ზონირება
11. შეზღუდვის და დაცვის ზონები
12. კულტურული მემკვიდრეობის სინთეზური რუკა
13. საკსადასტრო ნაკვეთები საკუთრების ფორმის მიხედვით
14. სართულიანობის რუკა
15. ფუნქციების ანალიზი
16. შეთანხმებული არქიტექტურული პროექტები და მშენებლობის ნებართვები
17. წინასწარ შეთანხმებული ესკიზი
18. კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ოქმი
19. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
20. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ნახაზის დასახელება

საპროექტო ტერიტორია ქალაქის კონტექსტში

შენიშვნა

- თბილისის საზღვარი
- რკინიგზა
- ჰიდროგრაფია
- ქუჩათა ქსელი
- საპროექტო ტერიტორია

დამკვეთი

შპს "რივერ ინვესტი" (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

N



ნახაზის დასახელება

სიტუაციური რუკა

შენიშვნა

- საპროექტო არეალი
- ქუჩა, გზა
- შენობა-ნაგებობა
- საკვლევი არეალი (100 მ რაიდუსი)

დამკვეთი

შპს “რივერ ინვესტი” (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

N

N 01.17.01.038.023

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024987112 - 02/07/2024 16:26:20

მომზადების თარიღი
10/07/2024 14:39:28

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ისანი		
01	**17**	**01**	**038/023**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ლომაურის , N 3-ის მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაშუსტებული ფართობი: 1424.00 კვ.მ.
ნაკვეთის ნინა ნომერი:**01.17.01.038.003; 01.17.01.038.012;**
შენობა-ნაგებობის ჩაშონათვალი:N1; N2; N3; N4; N5; N6; N7; N8; N9; N10; N11 ელ. ქვესადგური N5205

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882024987060 , თარიღი 02/07/2024 16:21:11
უფლების რეგისტრაციის თარიღი 10/07/2024

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაზე N240303351 , დაშოწმების თარიღი:13/03/2024 ,ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე
- ხელშეკრულება უძრავი ქონების საზოგადოების კაპიტალში შეტანის შესახებ , დამოწმების თარიღი:09/01/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაზე N240297076 , დაშოწმების თარიღი:12/03/2024 ,ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე

მესაკუთრეები:
შპს რივერ ინვესტი , ID ნომერი:405637967

მესაკუთრე:
შპს რივერ ინვესტი

აღნერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:
რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024987060 თარიღი 02/07/2024 16:21:11

შოშავალი მესაკუთრე: სააქციო საზოგადოება თელასი 202052580;
საგანი:შინის გაერთიანების შედეგად 50 კვ.მ. ასაშენებელი შენობის -1 სართულზე.;

უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაზე , N240303351 , გაფორმების თარიღი:13/03/2024 ,ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე ,

უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაზე , N240297076 , გაფორმების თარიღი:12/03/2024 ,ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე ,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/07/2024

გადდა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არაამქარული საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონებისაქციის მიწოდებით ნამეტი შეშოსავლის მიღება მემხმევებაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარედგინოს დეკლარაცია სამეწარმეო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს გულისხმი სამეწარმეო გადასახადი.



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, 22; ტელ: (995 32) 2 25 15 28; http://napr.gov.ge

ნახაზის დასახელება

ამონაწერი და საკადასტრო გეგმა

შენიშვნა

წყარო: NAPR ელექტრონული რუკა

დამკვეთი

შპს “რივერ ინვესტი” (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

N



ნახაზის დასახელება

ტოპოგრაფიული რუკა

შენიშვნა

დამკვეთი

შპს "რივერ ინვესტი" (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანხმება. საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „რივერ ინვესტის“ (ს/კ 405637967) კერძო საკუთრებაში არსებულ 1424 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთს (ს/კ 01.17.01.038.023), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ნ.ლომოურის ქუჩისა და მ. აბდუშელიშვილის ქუჩების კვეთაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე დამკვეთის სურვილით იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. ამჟამად, ტერიტორიაზე განთავსებულია საბჭოთა პერიოდის სტალინური სტილის ნაკლებად მნიშვნელოვანი ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

აღსანიშნავია რომ, სამსახუხრის მიერ 2023 წლის 07 მარტის AR1952749 განცხადების საფუძველზე, 29/05/2023 წლის № 6481237 ბრძანებით 01.17.01.038.012 საკადასტრო ერთეულზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასტუმროს განთავსების მიზნით.

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2). საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 -ში (სსზ-2) 14-39 დადგენილების დანართის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებს სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპში) ცვილების შეტანისათვის, პირველ რიგში საჭიროა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღება, რა მიზნითაც მომზადდა ქალაქგეგმარებითი კვლევა და დასაბუთება.

საწყის ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიიდან 100 მეტრის რადიუსში მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვრა პირობითი საკვლევი არეალი - სადაც ჩატარდა როგორც ფიზიკური გარემოს, ისე დოკუმენტური და უფლებრივი გარემოს კვლევები.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მ. აბდუშელიშვილის ქუჩა, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ნ.ლომოურის ქუჩა, სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სახელმწიფო ცერემონიების სასახლე (ყოფილი პრეზიდენტის სასახლე), სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან კი საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული თავისუფალი ტერიტორია.
საპროექტო ტერიტორია მეტრო ავლაბრიდან დაშრებულია 500 მეტრით, ხოლო ბარათაშილის ხიდიდან - 300 მეტრით. აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი-ავლაბარი-ქეთევან წამებულის ქუჩა მოქცეულია თბილისის სატრანზიტო ქსელის (TBT) არეალში, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას კარგი მისაწვდომობა აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორ მთავარ სატრანზიტო კორიდორთან (მეტრო და TBT). ასევე მიმდებარე არეალებზე, ველო ქსელის კონცეფციით, გათვალისწინებულია ველო ბილიკების მოწყობაც. რაც შეეხება კერძო ავტომობილით მისაწვდომობას, ტერიტორიაზე ვხვდებით/ვტოვებთ სხვადასხვა მხრიდან - როგორც მეტრო ავლაბრის, ისე სამების საკათედრო ტაძრის მხრიდან და ასევე, ე. ახვლედიანის აღმართიდან.

საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე ნაკვეთებზე (ყოფ. პრეზიდენტიც სასახლის ჩათვლით) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), თუმცა აღსანიშნავია, რომ დანარჩენ კვარტლებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

სივრცით-გეგმარებითი შეზღუდვების მხრივ, ტერიტორია გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სიმრავლით, და შესაბამისად მთლიანი არეალი მოყოლილია ისტორიული განაშენიანების დაცვის მკაცრ ზონაში. ასევე, ვრცელდება ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების - ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალები. გეოსაფრთხეების მხრივ, ტერიტორია დაბალი საფრთხის შემცველია (Tas.ge). ვრცელდება ჯიხურების აკრძლვის არეალი.

სივრცით-ფუნქციური თვალსაზრისით, საკვლევ არეალში უმეტესად გვხვდება კერძ საკუთრებაში არსებული (მათ შორის კერძო თანასაკუთრებაში ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში) არსებული საკადასტრო ნაკვეთები. ასევე გვხვდება იურიდიული პირების (შპს) , მუნიციპალური და სახელმწიფოს საკუთრეაში არსებული ტერიტორეიბიც. ნაკვეთების უმეტესობაზე განთავსბეულია საცხოვრებელი და სასტუმროს (მათ შორის საოჯახო სასტუმრო) ფუნქციის შენობები და მათი დამხმარე ნაგებობები. სართულიანობა საშუალოდ 2-3 სართული და არ აღემატება 5 სართულს. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს მ. აბდუშელიშვილის ქუჩის პარალელურად, განთავსებულია 5 სართულიანი ახალ აშენებული სასტუმროს შენობა. აღსანიშნავია, რომ ამ არეალისთვის განაშენიანების დომინანტს წარმოადგენს ყოფ. პრეზიდენტის სასახლე. საკვლევ არეალში ბოლო დროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტებისა და მშენებლობის ნებართვების ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი დეველოპმენტის მხრივ აქტიური კვარტალია, იმის გათვალისწინებით რომ მდებარეობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში. გვხვდება რამდენიმე ესკიზის წინასწარი შეთანხმება, და შეთანხმებული პროექტი/ნებართვა - საცხოვრებელი, სასტუმრო და სოფისე ფუნქციებით. სართულიანობა 4-5 სართული.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მხრივ, რამდენადაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის განაშენიანებულ არეალში, უზრუნველყოფილია საინჟინრო ქსელებით.

არქიტექტურული კონცეფცია

საპროექტო გადაწყვეტით, როგორც ზემოთ ვახსენეთ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც შედგება ერთი მიწისქვეშა, ოთხი სტანდარტული და მეხუთე შემცირებული სართულისგან.

ვინაიდან ტერიტორია მდებარეობს ქალაქის მნიშვნელოვან ისტორიულ უბანში, კონცენტრირებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებით და მასზე ვრცელდება შესაბამისი დაცვის ზონები და რეჟიმები, ჩვენ მიერ მომზადდა საპროექტო არეალისთვის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, რასაც შემდგომში დაეფუძნა ტერიტორიის განვითარების კონცეფციაც.

კონცეფცია: შენობის განთავსება გადაწყდა ქუჩის პერიმეტრზე, რომ შევსებულიყო ურბანული ქსოვილი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ლომოურის ქუჩას შენარჩუნებოდა მანამდე ჩაფიქრებული საპრეზენტაციო იერსახე. ფასადის გადაწყვეტის ინსპირაციას წარმოადგენს ამ უბნისთვის დამახასიათებელი აგურის შენობები და მათი ხის აივნები, თავისი მოკაზმულობით. მათი პროპორციები გადმოცემულია თანამედროვე ფორმებით. ფუნქცია: პირველი სართული წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მისაღებს და კომერციულ სივრცეს რომელიც ინტეგრირდება ეზოსთან. მიწისქვეშ განთავსებულია ავტოსადგომი და ტექნიკური ფართები.

პროექტის პირველადი ესკიზური ვარიანტი, წინასწარი შეთანხმების მიზნით, შეტანილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში (AR11057020, 11.09.2024წ.). საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, რომლის გადაწყვეტილების თანახმად (ოქმი N38 (10.10.2024წ.), ამავე განაცხადით მუნიციპალიტეტში წარდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზურ ვარიანტს მიეცა დადებითი შეფასება.

(დამატებით იხილეთ ალბომში წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, საბჭოს ოქმი, გადაწყვეტილება და შეთანხმებული არქიტექტურული ესკიზი).

საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჩვენი საკუთრების ტერიტორიაზე არ უპირისპირდება საჯარო ინტერესებს და არ გააუარესებს ტერიტორიის განაშენიანების ხასიათს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩვენ მიერ იგეგმება ისეთი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომლის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტა ესთეტიკურად გაუმჯობესებს ქუჩის იერსახეს, დამატებით ღირებულებას შესძენს ისტორიულ უბანს და ჰარმონიულად ჩაეწერება ურბანულ ქსოვილში. ამასთან შეცვლის ძველი, დეპრესიული და უფუნქციო შენობით დატვირთულ გარემოს და გააჯანსააღებს მას.

ნახაზის დასახელება

განმარტებითი ბარათი

შენიშვნა

დამკვეთი

შპს “რივერ ინვესტი” (ს/კ 405637967)

პროექტის სახელწოდება და სტადია

ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი,
ლომაურის ქ. N 3ის მიმდებარედ
(ს/კ 01.17.01.038.023)

სპეციალური ზონალური შეთანმხება.
საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური
დანიშნულების სახეობა

მონაწილე სპეციალისტები

ანა გულისაშვილი

გვერდი |

ფორმატი | მასშტაბი

A3

განმარტებითი ბარათი

ცვლილების მიზეზი და მოთხოვნა

